სსიპ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

06.10.2009 № 126

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სწავლების ყველა საფეხურის ვაჟი სტუდენტების
პირადი საქმეების მოწესრიგების შესახებ

საქართველოს კანონის "სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ", სტუ-ს 2009 წლის 18 ივნისის №66 ბრძანების პუნქტი 4-ის და სტუ-ს სამხედრო-სამობილიზაციო სექტორის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის ის ვაჟი სტუდენტი, რომლის პირად საქმეში არ არის სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტის (მიწერის მოწმობა) ქსეროასლი, გაირიცხება უნივერსიტეტიდან, თუ აღნიშნულ საბუთს, დედანთან ერთად, არ წარმოადგენს შესაბამის დეკანატში 2009 წლის 31 ოქტომბრამდე.
2. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს თვალსაჩინო ადგილას გამოაკრან იმ ვაჟი სტუდენტების სია, რომელთა პირად საქმეში არ არის ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული საბუთი და გააფრთხილონ ისინი.
3. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამხედრო-სამობილიზაციო სექტორის უფროსს.

რექტორი
პროფესორი ა. ფრანგიშვილი

რექტორის მოადგილე პროფ. ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ი. ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე